



განათლების, მეცნიერებისა და  
ახალგაზრდობის სამინისტრო



Keele  
University



THE WORLD BANK  
IBRD • IDA

### ამ საინფორმაციო ფურცელში იხილავთ:

- ინფორმაცია პროექტის შესახებ;
- პროექტის პრეზენტაცია: „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში“- ReINNOVA - პროექტის საჯარო პრეზენტაცია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში.
- CIF საგრანტო პროექტის ReINNOVA-ს ფარგლებში კილის უნივერსიტეტში პირველი სასწავლო ვიზიტი;
- ინოვაციების მრჩეველთა ტრენინგი;
- პროექტ ReINNOVA-ს ფარგლებში, კონფერენცია/ვორკშოფი - „ბიზნესთან თანამშრომლობა“ ჩატარდა;
- სტუ-ში „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა - Reinnova“-ს საპილოტე პროექტების პრეზენტაცია გაიმართა;
- პროექტი „Reinnova“-ს ფარგლებში ბიზნეს ორგანიზაციებისთვის შეთავაზებული ტრენინგ-კურსი „მენეჯმენტი ინჟინრებისთვის“ ჩატარდა;
- სტუ-ში CIF საგრანტო პროექტი Reinnova-ს შედეგების ინსტიტუციური მდგრადი განვითარება;
- პროექტის ეგიდით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში თანამედროვე კონცეფციის „ფიქრის ლაბორატორია“ გაიხსნა;

### პროექტის სრული სახელი:

*კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში*

**დონორი:** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF) - მსოფლიო ბანკის დაფინანსებით

**პარტნიორი:** კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი)

### პროექტის მიზნები:

- სტუ-ს და სამეწარმეო ბიზნეს ინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება;
- განათლებაში დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა და სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის შედეგების გაუმჯობესებით შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების ხელშეწყობა.

**ამოცანა:**

პროექტი ითვალისწინებს სტუ-ს ორ ფაკულტეტზე, კერძოდ: 1. სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის და 2. სამშენებლო ფაკულტეტის ჯამში 6 საგანმანათლებლო პროგრამაში, „სტუ-ს ინოვაციებისა და კვლევების პროგრამა - ReInnova“-ს პილოტირებს და *სასწავლო მოდულის „საქარმო პრაქტიკა“ გაძლიერებას;*

**პროექტის შესაბამისობა სტუ-ს**

**სტრატეგიულ მიზნებთან:**

სტუ-ს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნები და არსებული საჭიროებები შეესაბამება პროექტის იდეას. იდეა ეყრდნობა უნიკალურ ბრიტანულ გამოცდილებას. შესაბამისად, ამ საპროექტო განაცხადის ძირითადი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს საუკეთესო ბრიტანული პრაქტიკის აპრობირება სტუ-ში, რათა შესაძლებელი გახდეს ბიზნესთან თანამშრომლობის გააქტიურება და ინოვაციური პლატფორმის გამოყენებით სტუ-ში სტიმულირდეს ბიზნესებთან თანამშრომლობის პრაქტიკა; მოხდეს ამ მეთოდის ინსტიტუციონალიზაცია მდგრადი მიზნებისთვის.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდება საქართველოს და ევროპული საგანმანათლებლო სტანდარტებზე ორიენტირებული, მულტიდისციპლინური საგანმანათლებლო პროგრამები - მათ შორის ამ პროგრამების ნაწილს საქართველოში ანალოგები არ გააჩნია. შესაბამისად დასაქმების ბაზარზე დიდია მოთხოვნა კურსდამთავრებულებზე. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის როგორც ერთ-ერთი ძველი და ტრადიციული საინჟინრო სკოლისათვის

საქართველოში, მოქმედი 2022-2028 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრულია ის პრიორიტეტები, რომლებიც მიზნად ისახავს აკადემიურ სივრცეში, სწავლის, სწავლებისა და კვლევის ისეთი სტანდარტების დანერგვას, რომლებიც მუდმივად გააუმჯობესებს სასწავლო გარემოს და გაზრდის განათლების შესაბამისობას თანამედროვე შრომის ბაზრის გამოწვევებთან.

პროექტის მიზანია უნივერსიტეტის როგორც საინჟინრო განათლების ტრადიციულ ინსტიტუციასა და სამეწარმეო ბიზნეს ინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება; განათლებაში დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა და სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის შედეგების გაუმჯობესებით შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების ხელშეწყობა.

საბოლოოდ გვსურს კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით, შეიქმნას კარიერული განვითარების და პროფესიული ზრდისთვის მხარდაჭერის შესაძლებლობები, სასწავლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის განვითარების, ტრენინგ-სემინარების, ერთობლივი კვლევითი აქტივობებისა და სხვა ინოვაციური მექანიზმების საშუალებით.

ჩვენ დარწმუნებულები ვართ შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებით. თანამშრომლობა ხელს შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზაციას. ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარებას, განსხვავების შემცირებას სწავლის


შედეგებსა და შრომის ბაზრის მოლოდინებს შორის (skills gap).

ჩვენი კონცეფცია მოიცავს ინდუსტრიებსა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას კონკრეტული ბიზნეს პრობლემების გადაწყვეტას, რაც მოხდება ინდუსტრიის, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ერთობლივი პრაქტიკული მონაწილეობით.

იმისათვის რომ გავამარტივოთ ურთიერთობები და მაქსიმალურად გავაუმჯობესოთ დამსაქმებლების, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულებს შორის კავშირი, შესაბამისი პროფილის ინდუსტრიის წარმომადგენლებს ვთავაზობთ ღია თანამშრომლობას ზემოთ აღწერილი მიზნებიდან გამომდინარე. შესაბამისად მოხარული ვიქნებით განვიხილოთ ნებისმიერი წინადადება, რომელიც გააუმჯობესებს საგანმანათლებლო

დაწესებულებასა და ბიზნეს შორის თანამშრომლობას.

**პროექტის იდეის კონცეფცია ვიზუალურად გამოიყურება შემდეგნაირად:**



### პროექტის პრეზენტაცია

26-09-24

სტუ-ს ტექნოლოგიების ტრანსფერისა და საგრანტო ოფისის ორგანიზებით, პროექტის „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში - "Reinnova"-ს, გახსნის ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების მიზანს პროექტის ოფიციალურად დაწყება და ფართო საზოგადოებისთვის პროექტის იდეის და სამომავლო ინიციატივების შესახებ ინფორმირება წარმოადგენდა.

შეხვედრა გახსნა სტუ-ს რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ,



რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია პროექტის იდეისა და სტრატეგიული მიზნების შესახებ. მან თავის სიტყვაში პროექტის მმართველ გუნდს, პროექტის ეგიდით განსახორციელებელი ღონისძიებების უზრუნ-

ველყოფისთვის უპირობო მხარდაჭერა გამოუცხადა. რექტორმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ „სტუ-ს სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული მიზნები და არსებული საჭიროებები შეესაბამება პროექტის იდეას. იდეა ეყრდნობა უნიკალურ ბრიტანულ გამოცდილებას. შესაბამისად, ამ საპროექტო განაცხადის ძირითადი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს საუკეთესო ბრიტანული პრაქტიკის აპრობირება სტუ-ში, რათა შესაძლებელი გახდეს ბიზნესთან თანამშრომლობის გააქტიურება და ინოვაციური პლატფორმის გამოყენებით სტუ-ში სტიმულირდეს ბიზნესებთან თანამშრომლობის პრაქტიკა; მოხდეს ამ მეთოდის ინსტიტუციონალიზაცია მდგრადი მიზნებისთვის“.

შეხვედრას ესწრებოდნენ სტუმრები დონორი და პარტნიორი ორგანიზაციებიდან. შეხვედრას ონლაინ ასევე ჩაერთო, ინოვაციების მრჩეველი, ემმა ბონფილჯიო, პროექტის პარტნიორი კილის უნივერსიტეტიდან (დიდი ბრიტანეთი), რომელმაც თავის სიტყვაში ხაზი გაუსვა პროექტის მნიშვნელობას და მსგავსი პროექტების მართვაში კილის უნივერსიტეტის გამოცდილებას.

დონისძიების ფარგლებში ასევე განხილულ იქნა საკითხი პროექტის ძირითადი პერსონალისა და პარტნიორების ჩართულობით შეიქმნას ე.წ. პროექტის მმართველი საბჭო - Project Management Board (PMB), რომელშიც შევლენ, პროექტის გუნდის წევრები და პარტნიორი ინსტიტუციის წარმომადგენლები.

პროექტი „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულ-

ირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში -"Reinnova", არის საგრანტო განაცხადის საფუძველზე დაფინანსებული პროექტი, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF) დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორია კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი).

პროექტი "Reinnova"-ს მიზანია სტუ-ს და სამეწარმეო ბიზნეს ინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება და განათლებაში დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა. ასევე, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის შედეგების გაუმჯობესებით შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების ხელშეწყობა.

პროექტი ითვალისწინებს სტუ-ს ორ ფაკულტეტზე, კერძოდ: 1. სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის და 2. სამშენებლო ფაკულტეტის ჯამში 6 საგანმანათლებლო პროგრამაში, „სტუ-ს ინოვაციებისა და კვლევების პროგრამა - Reinnova“-ს პილოტირებას და სასწავლო მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ გაძლიერებას; პროექტის საბოლოო მიზანია, კერძოდ და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით, შეიქმნას კარიერული განვითარების და პროფესიული ზრდისათვის მხარდაჭერის შესაძლებლობები სასწავლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის განვითარების, ტრენინგ-სემინარების, ერთობლივი კვლევითი აქტივობებისა და სხვა ინოვაციური მექანიზმების საშუალებით.

შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებით თანამშრომლობა ხელს შეუწყობს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო გარემოს სწრაფ მოდერნიზაციას. აგრეთვე ხელს შეუწყობს ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის განვითარებას, განსხვავების შემცირებას სწავლის შედეგებსა და შრომის ბაზრის მოლოდინებს შორის (skills gap). პროექტის კონცეფცია მოიცავს ინდუსტრიებსა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას კონკრეტული ბიზნეს პრობლემების გადასაწყვეტად, ინდუსტრიის, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ერთობლივი პრაქტიკული მონაწილეობით.

**CIF საგრანტო პროექტის ReINNOVA-ს ფარგლებში კილის უნივერსიტეტში სასწავლო ვიზიტი განხორციელდა**

15-12 -23

პროექტის სამოქმედო გეგმის თანახმად განხორციელდა სტუ-ს თანამშრომელთა ვიზიტი კილის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი). ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის თანამშრომლებისთვის, კილის უნივერსიტეტში წლების განმავლობაში აპრობირებული და პრაქტიკაში დანერგილი „Innovation Advisor“ (ე.წ. ინოვაციების მრჩეველი) ინსტიტუტის ფუნქციებისა და მოვალეობების შესახებ ცოდნის გაზიარება წარმოადგენდა.

სასწავლო ვიზიტი 11-15 დეკემბრის პერიოდში, კილის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლაში განხორციელდა, სადაც სტუ-ს თანამშრომლებს და პროექტი

ReInnova"-ს მონაწილეებს, შესაძლებლობა ჰქონდათ



გაცნობოდნენ თეორიულ და პრაქტიკულ ინფორმაციას ე. წ. „ინოვაციების მრჩეველის“ ინსტიტუტის აპრობირებული პრაქტიკის შესახებ. ტრენინგის სასწავლო მოდული, ამავე პროექტის ფარგლებში მომზადდა კილის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის მონაწილეობით და ის მოიცავდა როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული სწავლების ნაწილს. საკლასო სამუშაოების გარდა, მონაწილეებს შესაძლებლობა ჰქონდათ მოენახულებინათ ადგილობრივი კომპანიები და უშუალოდ ადგილზე გაცნობოდნენ კილის უნივერსიტეტის „ინოვაციების მრჩეველების“ და საწარმოო ორგანიზაციებს შორის მოლაპარაკების, საქმიანობის დაგეგმვისა და განვითარების პროცედურებსა და რეალურ პრაქტიკას.

„ინოვაციების მრჩეველების“ ინსტიტუტი კილის უნივერსიტეტში წლებია ფუნქციონირებს, მისი მთავარი დანიშნულებაა უზრუნველყოს სწავლა-სწავლების პროცესში, ბიზნეს ორგანიზაციების ჩართვა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალთან რეალურ პროექტებზე მუშაობის შეთავაზებით. რათა ბიზნესის ჩართულობა საუნივერსიტეტო ცხოვრებაში იყოს უფრო აქტიური და ქმედითი.

აღნიშნული სასწავლო ვიზიტის შედეგად მიღებული ცოდნის და პრაქტიკის გაზიარება ტრენინგ-სემინარების სახით, დაგეგმილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში 2024 წლის იანვარ-თებერვლის თვეში. აგრეთვე, იგეგმება პროექტის ფარგლებში სტუ-ში მოხდეს ე.წ. „ინოვაციების მრჩეველების“ თანათავსებადი თანამდებობრივი პოზიციის შექმნა და სამსახურებრივი ინსტრუქციის განახლება, რითაც განისაზღვრება ამ პოზიციის მდგრადი ფუნქციონირების მიზნები. „ინოვაციების მრჩეველების“ პოზიცია შეიძლება იყოს თავსებადი სხვა პოზიციებთან და ის სამსახურებრივი პასუხისმგებლობის სახით დამატებულ იქნას სტუ-ს „ტექნოლოგიების და საგრანტო პროექტების ოფისის“ სპეციალისტებისა და საფაკულტეტო წარმომადგენლობების სამუშაო აღწერილობაში; თავდაპირველად დაგეგმილია რაოდენობრივად შეიქმნას მინიმუმ 3 და მაქსიმუმ 5 ასეთი პოზიცია. პროექტი ReInnova გრძელდება და სამომავლოდ სხვა არაერთი ღონისძიება და აქტივობაა დაგეგმილი.

### **სტუ-ში ე.წ. ინოვაციების მრჩეველთა ტრენინგი ჩატარდა**

23-02-24

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნ. ნიკოლაძის დარბაზში, სტუ-ს კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა „Reinnova-ს“ ფარგლებში ე.წ. „ინოვაციების მრჩეველთა“ ტრენინგ-ტრენინგი ჩატარდა, რომელშიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი მონაწილეობდა.



აღნიშნული ტრენინგი დაფუძნებულია ბიზნეს სექტორთან ურთიერთობისა და სამეწარმეო სწავლების კილის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) მოდელზე, რომლის ძირითადი კონცეფცია მოიცავს ინდუსტრიებსა და უნივერსიტეტს შორის თანამშრომლობას კონკრეტული ბიზნეს პრობლემების გადასაწყვეტად, ინდუსტრიის, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ერთობლივი პრაქტიკული მონაწილეობით. ტრენინგის შინაარსი მომზადდა კილის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) ექსპერტთა თანამონაწილეობით და სრულად ეფუძნება კილში არსებულ ცოდნასა და პრაქტიკას ბიზნესთან ურთიერთობების მიმართულებით.

ტრენინგი განხორციელდა „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის, პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის. საინჟინრო განათლებაში - Reinnova (№CIF-2023-09) პროექტის ფარგლებში, რომელიც საგრანტო განაცხადის საფუძველზეა დაფინანსებული. პროექტი ხორციელდება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორია კილის უნივერსიტეტი.

პროექტის მიზანია საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სამეწარმეო ბიზნეს ინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება და განათლებაში დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა. ასევე, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის შედეგების გაუმჯობესებით შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური სამუშაო ძალის მომზადების ხელშეწყობა.

პროექტი თავდაპირველ ეტაპზე გათვალისწინებულია სტუ-ს ორ ფაკულტეტზე, კერძოდ: სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის და სამშენებლო



ფაკულტეტების ჯამში 6 საგანმანათლებლო პროგრამაში, „სტუ-ს ინოვაციებისა და კვლევების მხარდაჭერი პროგრამა - ReInnova“-ს პილოტირებას და სასწავლო მოდულის „საწარმოო პრაქტიკა“ გაძლიერებას; სამომავლოდ კი პროგრამის მდგრადი მიზნებისთვის დაგეგმილია აღნიშნული პრაქტიკის ფართოდ გავრცელება სტუ-ს სხვა საგანმანათლებლო პროგრამებში.

**სტუ-ში, პროექტ ReINNOVA-ს ფარგლებში, კონფერენცია/ვორკშოფი - „ბიზნესთან თანამშრომლობა“ გაიმართა**

06-03-2024



კონფერენცია/ვორკშოფის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, პროექტის პარტნიორი უნივერსიტეტის - კილის ბიზნესის სკოლის (დიდი ბრიტანეთი) მეწარმეობის დირექტორი, დოქტორი კოლინ რიგბი, სტუ-ს სამეთვალყურეო საბჭოს პრეზიდენტი, პროფესორი ზურაბ გუდავაძე, ვიცე-რექტორი მეცნიერების დარგში, პროფესორი თამარ ლომინაძე, სასწავლო პროცესების მართვის სამსახურის ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი თამარ წერეთელი, ReINNOVA-ს ოპერაციული მენეჯერი, სტუ-ს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი, ბორის გითოლენდია, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი ზურაბ გვიშიანი, სტუ-ს ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის ხელმძღვანელი თეა მურვანიძე, პროექტის მენეჯერები და სტუდენტები, ასევე, დონორი და პარტნიორი ორგანიზაციებისა და ბიზნესსექტორის წარმომადგენლები.

კონფერენცია/ვორკშოფი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორმა, პროექტ ReINNOVA-ს ინსტიტუციურმა კოორდინატორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ გახსნა. რექტორი ღონისძიების

მონაწილეებს პროექტის იდეისა და კონცეფციის შესახებ ესაუბრა და ReINNOVA-ს მენეჯმენტს, პროექტის ეგიდით განსახორციელებელი აქტივობების უზრუნველსაყოფად, უნივერსიტეტის ადმინისტრაციის მხრიდან სრული მხარდაჭერა აღუთქვა.

„მივესალმები პროექტ ReINNOVA-ს ფარგლებში შეკრებილ ჩვენს სტუმრებს, კონფერენცია/ვორკშოფის - „ბიზნესთან თანამშრომლობა“ - მონაწილეებს. მოგესენებათ, რამდენად რთულია ფეხი აუწყოთ იმ ტექნოლოგიებს, რომელებიც მსოფლიოში ელვისებური სისწრაფით ვითარდება. შესაბამისად, სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებსაც უწევთ დიდი შრომა, რომ განვითარების სასურველ შედეგებს მიაღწიონ. ეს კი შეუძლებელია დამსაქმებელი ორგანიზაციების, ბიზნესსექტორის აქტიური ჩართულობის გარეშე. სწორედ ამიტომ, პროექტ ReINNOVA-ს დონორების - საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, პირადად მინისტრ გიორგი ამილახვარისა და მისი მოადგილეების უშუალო ჩართულობით და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ძალისხმევით, მივდივართ საერთო მიზნისკენ, რაც მოიაზრებს ჩვენს უნივერსიტეტსა და სამეწარმეო ბიზნესინდუსტრიებს შორის პარტნიორობის გაძლიერებას. პროექტმა, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის შედეგების გაუმჯობესებით, უნდა უზრუნველყოს უმაღლესი განათლების სექტორში დამსაქმებელთა ჩართულობის გაძლიერება და ხელი შეუწყოს შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადებას. ჩვენი მიზანია, კერძო და საჯარო სექტორთან

თანამშრომლობით, შეიქმნას ახალგაზრდების კარიერული განვითარებისა და პროფესიული ზრდის ქმედითი შესაძლებლობები, რაც მოითხოვს სასწავლო პროგრამებში პრაქტიკული კომპონენტის აქტიურად ასახვას ტრენინგების, სემინარების, ერთობლივი კვლევითი აქტივობებისა და სხვა ინოვაციური მექანიზმების გზით. ამ პროცესში საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანია, კონკრეტული ბიზნეს პრობლემების გადაჭრაც მოხდეს და ეს პროცესი დამსაქმებელი კომპანიების, სტუდენტების და აკადემიური პერსონალის ერთობლივი კოოპერაციით წარიმართოს. ამისათვის მაქსიმალურად უნდა გავამარტივოთ და გავაუმჯობესოთ კავშირები დამსაქმებელს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს შორის. ამ მიზნით, ბიზნესსექტორს ღია თანამშრომლობას ვთავაზობთ. გვაქვს სრული მზაობა, განვიხილოთ ნებისმიერი წინადადება, რომელიც საგანმანათლებლო დაწესებულებასა და ბიზნესს შორის თანამშრომლობას გააუმჯობესებს. დარწმუნებული ვართ, ერთობლივი ძალისხმევით სასურველ შედეგებს მივაღწევთ და შრომის ბაზართან კავშირების გაძლიერებით, ხელს შევუწყობთ საგანმანათლებლო პროგრამებისა და სასწავლო ინფრასტრუქტურის სწრაფ მოდერნიზაციას, ახალგაზრდა, კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებასა და რაც ასევე მთავარია, სწავლების შედეგებსა და შრომის ბაზრის მოლოდინებს შორის განსხვავების მაქსიმალურად შემცირებას“, - განაცხადა რექტორმა, დავით გურგენიძემ.

პროექტ ReINNOVA-ს ფარგლებში გამართულ კონფერენცია/ვორკშოფზე



საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და კომპანია „გრინვეი საქართველოს“ შორის სტრატეგიული თანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. დოკუმენტს რექტორმა, აკადემიკოსმა დავით გურგენიძემ და კომპანიის დირექტორმა, ვახტანგ ებიტაშვილმა მოაწერეს ხელი.

„მინდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ უნივერსიტეტის ადმინისტრაცია და პროფესორ-მასწავლებლები, დამსაქმებლებთან ერთად, ძალისხმევას არ დაიშურებენ იმ მიზნით, რომ მოტივირებული ახალგაზრდები, ჩვენი მომავალი თაობა ძლიერ პროფესიონალებად და ღირსეულ მოქალაქეებად ჩამოყალიბდნენ“, - აღნიშნა დავით გურგენიძემ.

როგორც „გრინვეი საქართველოს“ დირექტორმა, ვახტანგ ებიტაშვილმა განაცხადა, კომპანიისთვის მნიშვნელოვანია თანამშრომლობის გამყარება საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში ტექნიკურ-ტექნოლოგიური მიმართულების ფლაგმან უნივერსიტეტთან, რაც მხარეებისთვის საერთო მიზნების განხორციელების მყარ საფუძველს შექმნის.

„დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან პარტნიორობა ნაყოფიერი იქნება. მიგვაჩნია, რომ უნივერსიტეტების განვითარების პროცესში ბიზნესის ჩართულობა უკიდურესად მნიშვნელოვანია, ვინაიდან წარმატებული ბიზნესი არის გარანტი, რომ სამომავლოდ, ახალგაზრდები თავიანთი ცოდნისა და გამოცდილების მიხედვით დასაქმდნენ და დარგის პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ. „გრინვეიში“ სტაჟირების პროცესში, რაც კომპანიის ინფრას-

ტრუქტურისა და ტექნოსპექტირების ცენტრების ბაზაზე ჩატარდება, დაინტერესებული სტუდენტები საფუძვლიანად შეისწავლიან ტექნოსპექტირების პროცესს. საუკეთესო შედეგების მქონე ახალგაზრდებს მიეცემა შესაძლებლობა „გრინვეიში“ დასაქმდნენ. ჩვენი მხრიდან ველით, რომ თანამშრომლობა კონკრეტულ შედეგებს მოგვითმავს“, - აღნიშნა ვახტანგ ებიტაშვილმა.

კონფერენცია/ვორკშოპზე კილის ბიზნესის სკოლის (დიდი ბრიტანეთი) მეწარმეობის დირექტორმა, დოქტორმა კოლინ რიგბიმ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის განხორციელების მნიშვნელობის შესახებ ისაუბრა. ReINNOVA-ს ოპერაციულმა მენეჯერმა, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანმა, ბორის გითოლენდიამ, სამშენებლო ფაკულტეტის დეკანმა, ზურაბ გვიშიანიამ, ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისის ხელმძღვანელმა თეა მურვანიძემ და პროექტის მენეჯერებმა დონორ და პარტნიორ ორგანიზაციებს, ასევე, დამსაქმებელი კომპანიების - „გრინვეი საქართველო“, „ლაიონ ტრანსი“, „ავტობანი“, „თეგეტა“, „მშენებელი 50“, „ჰაიდელბერგცემენტი“, „ფორსი“ - წარმომადგენლებს სტუ-ს კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერი პროექტის სტრატეგიული მიზნებისა და დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს. გარდა ამისა, ვორკშოპზე, პრეზენტაციის სახით, წარმოდგენილ იქნა ReINNOVA-ს ფარგლებში ჩატარებული შრომის ბაზრის კვლევის შედეგები.

პროექტმა - „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმული

რებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში - ReINNOVA”, რომელიც რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის ავტორობით იქნა წარდგენილი, 2023 წელს მსოფლიო ბანკის, საქართველოს I2Q ინოვაციის, ინკლუზიისა და ხარისხის პროექტის (CIF) მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში გამარჯვება მოიპოვა. ReINNOVAს მიზანი, სტუ-ს და სამეწარმეო ბიზნეს-ინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება, განათლების პროცესში დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა და სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის შედეგების გაუმჯობესების გზით შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობაა.



კონფერენცია გახსნა სტუ-ს საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის ხელმძღვანელმა თეა მურვანიძემ, რომელმაც დამსწრე საზოგადოებას მიაწოდა ინფორმაცია პროექტის იდეისა და სტრატეგიული მიზნების შესახებ. კონფერენციის მონაწილეებს ონლაინ ჩართვით მიესალმა პროექტის პარტნიორი კილის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი), პროფესორი, ამავე უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მეწარმეობის დირექტორი კოლინ რიგბი, რომელიც ამავედროულად პროექტი ReINNOVA-ს ექსპერტია. მან ისაუბრა პროექტის მნიშვნელობასა და მსგავსი პროექტების მართვაში კილის უნივერსიტეტის გამოცდილებაზე. აღნიშნა რომ პროექტის ძირითადი არსიც მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს საუკეთესო ბრიტანული პრაქტიკის აპრობირება სტუ-ში, რათა შესაძლებელი გახდეს ბიზნესთან თანამშრომლობის გააქტიურება და ინოვაციური პლატფორმის გამოყენებით სტუ-ში სტიმულირდეს ბიზნესებთან თანამშრომლობის პრაქტიკა; მოხდეს ამ მეთოდის ინსტიტუციონალიზაცია მდგრადი მიზნებისთვის.

**სტუ-ში „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა - Reinnova“-ს საპილოტე პროექტების პრეზენტაცია გაიმართა**

28-06-24

სტუ-ს პროექტის „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში -Reinnova“-ს, ფარგლებში შემუშავებული „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა - Reinnova" ფინალური კონფერენცია ჩატარდა, სადაც პროგრამის ფარგლებში მომზადებული საპილოტე პროექტების პრეზენტაციები გაიმართა. ღონისძიებას ესწრებოდნენ სტუ-ს ცენტრალური და საფაკულტეტო ადმინისტრაციის წარმომადგენლები, სხვა მოწვეული სტუმრები დონორი და პარტნიორი ორგანიზაციებიდან.

კონფერენცია, პროგრამის ფარგლებში სტუდენტების მიერ მომზადებული საპილოტე პროექტების პრეზენტაციებით გაგრძელდა. საუბარია პროექტებზე რომლებიც „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა - Reinnova“ კონცეფციის გათვალისწინებით, სტუდენტებმა მოამზადეს. მიმდინარე წლის მარტი-ივნისის პერიოდში.



ჯამში 6 სტუდენტური გუნდი შესაბამისი „ინოვაციების მრჩეველების“ მენტორობით, ბიზნეს კომპანიების მიერ დასმული ამოცანების ინოვაციურ გადაწყვეტაზე მუშაობდნენ. კერძოდ საპილოტე საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად 6 სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციასთან თანამშრომლობით მომზადდა შემდეგი სახის პროექტები:

საგანმანათლებლო პროგრამა "სამოქალაქო ინჟინერია"; კომპანია „მშენებელი 80“ – თემა: „ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სასმელი წყლის რეზერვუარების ტექნიკური მდგომარეობის შეფასება“. სტუდენტები: გიორგი შვანგირაძე, დავით ყავრელიშვილი; მენტორი - ნინო ბახტაძე; კომპანიის წარმომადგენელი გიორგი თურმანიძე;

პროექტის ფარგლებში მოხდა სასმელი წყლის რეზერვუარების მზიდი რკინაბეტონის კონსტრუქციების დათვალიერება, დაზიანებული და მწყობრიდან გამოსული კონსტრუქციების და ზონების დაფიქსირება. შემდგომში, შესაბამისი ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე მომზადდება შესაბამისი დასკვნა.

საგანმანათლებლო პროგრამა "სამეწარმეო ბიზნესის ორგანიზაცია და მართვა"; კომპანია "ავტობანი" – თემა: "ადამიანური რესურსების მოზიდვის პრობლემატიკა"; სტუდენტები: სოფიო ამაღლობელი, მარიამ გუგულაშვილი, ნანა ნინიკაშვილი; მენტორი - თამარ ქაჩხაძე; კომპანიის წარმომადგენელი - თეა მორბედაძე;

პროექტის ფარგლებში განხორციელდა სამუშაო ვიზიტები კომპანიაში, ჩატარდა კვლევა, გამოკითხვის ფორმით და მომზადდა შესაბამისი რეკომენდაციები;

საგანმანათლებლო პროგრამა "მშენებლობა"; კომპანია „Progress Project“ – თემა: „შენობა-ნაგებობათა კონსტრუქციული გადაწყვეტა, გეოლოგიური დასკვნის გაკეთება“. სტუდენტი ლაშა დემეტრაშვილი - მენტორი: ანა ტაბატაძე, კომპანიის წარმომადგენელი ჯონი გიგინეიშვილი;

პროექტის ფარგლებში სტუდენტს დაევალა კონსტრუქციული თვალსაზრისით გადაწყვეტილი შენობის, როგორც ჩარჩოსებრ-კავშირებიანი კარკასული მონოლითური რკინაბეტონის სისტემის გეოლოგიური დასკვნის გაკეთება, ასევე კონსტრუქციული ნაწილის დამუშავება, რომელიც მოიცავს მის სტრუქტურულ გაანგარიშებას სპეციფიკური კომპიუტერული საანგარიშო პროგრამებით.

საგანმანათლებლო პროგრამა "მშენებლო ბის ინჟინერია და მენეჯმენტი"; კომპანია „ფორსი“ – თემა: „სამშენებლო პროექტის ხარჯთაღრიცხვის მომზადება“ - პრაქტიკული მაგალითი“ - სტუდენტი: ქეთევან თოდუა; ხელმძღვანელი - მარიამ ვარდიანიშვილი კომპანიის წარმომადგენელი ალექსანდრე წაქაძე;

პროექტის ფარგლებში მომზადდა კომპანიაში პროექტირებაში არსებული სტრუქტურულად რთული ფორმის მრავალსართულიანი შენობის (სასტუმროს), ხარჯთაღრიცხვა;

საგანმანათლებლო პროგრამა "ლოგისტიკა; კომპანია „Lion Trans“- თემა: "ავტოდილერის მომზადების ტრენინგ კურსის ლოგისტიკური პროცესების დაგეგმარება". სტუდენტები: ლია გოცირიძე, ანა ოდიშელიძე, გიგი პატარიძე; მენტორი: თამარ რუხაძე; კომპანიის წარმომადგენელი: ქეთევან გელაშვილი; პროექტის „ავტოდილერის მომზადების ტრენინგ კურსის დაგეგმვა და აკადემიურ გარემოში ადაპტაცია. პროექტის ფარგლებში სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს ტრენინგის საორგანიზაციო პროცესში.

შუამავლობას უწევდნენ კომპანიას და უნივერსიტეტს ტრენინგ კურსის განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე;

საგანმანათლებლო პროგრამა "ტრანსპორტი"; კომპანია „გრინვეი საქართველო“ - თემა: „ავტომობილების ტექნიკური ინსპექტირება - სფეროში შესაბამისი ადამიანური კაპიტალის პრობლემასთან დაკავშირებული კვლევა“. სტუდენტები: ავთანდილ ახალკაცი, გელა ჟღენტი, ალექსანდრე ცქიფურიშვილი; მენტორი: ვალერი ჯაჯანიძე; კომპანიის წარმომადგენელი: ზაქარია გაბეცაძე.

რაც შეეხება თვითონ „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა - Reinnova"-ს, ეფუძნება უნიკალურ ბრიტანულ გამოცდილებას, რომელიც სტუდენტების პრაქტიკული უნარების და ბიზნეს სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარების მიზნით შეიქმნა.



„სტუ-ს კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა - ReInnova“ ფოკუსირებულია იმ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებზე, რომლებიც ახალი პროდუქტის, პროცესის ან სერვისის შექმნაზე ფიქრობენ ან შექმნის პროცესში არიან. ბიზნეს-კომპანიები, რომლებიც ერთვებიან პროექტში, „ურთიერთთანამშრომლობის

მემორანდუმის“ განახლება /გაფორმების შემდეგ, წარმოადგენენ რეალური პრობლემის/ების (ქეისის) მოკლე აღწერილობას. ამის შემდეგ აღნიშნულ ბიზნეს ქეისზე სამუშაოდ, სტუ-ს შიდა მექანიზმების გამოყენებით შეირჩევა შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე აკადემიური პერსონალი, რომლებიც ერთვებიან პროექტში და საპილოტე სასწავლო პროგრამის სტუდენტთა გუნდებთან 3 თვის ვადაში (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგაზაფხულო ან საშემოდგომო სემესტრი), წარმოადგენენ რეალური ბიზნეს პროექტის გადაწყვეტის თავის ვერსიას, რომლის შეფასების მთავარი კრიტერიუმია “ინოვაციურობა და პრაქტიკული გამოყენების შესაძლებლობა”.

პროექტი „კვლევებისა და ინოვაციების“ მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში -"Reinnova", არის საგრანტო განაცხადის საფუძველზე დაფინანსებული პროექტი, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF) დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორია კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი). პროექტს კოორდინაციას უწევს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი.

პროექტის საბოლოო მიზანია, კერძო და საჯარო სექტორთან თანამშრომლობით, შეიქმნას კარიერული განვითარების და პროფესიული ზრდისთვის მხარდაჭერის შესაძლებლობები სასწავლო პროგრამებში

პრაქტიკული კომპონენტის განვითარების, ტრენინგ-სემინარების, ერთობლივი კვლევითი აქტივობებისა და სხვა ინოვაციური მექანიზმების საშუალებით.

**„მენეჯმენტი ინჟინრებისთვის“ - ფაკულტეტი ტრენინგ-კურსს მასპინძლობს**

25-11-09



25 ნოემბრიდან, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტი ტრენინგ-კურსის საპილოტე სერისას „მენეჯმენტი ინჟინრებისთვის“ მასპინძლობს. სასწავლო კურსი, რომელიც „ფიქრის ლაბორატორიაში“ იმართება, პარტნიორი ბიზნეს-ორგანიზაციების საშუალო და ქვედა რგოლის მენეჯერები მონაწილეობენ.

ტრენინგ-კურსი სტუ-ს პროექტის „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში -"Reinnova"-ს ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კილის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით ხორციელდება.

კურსი დაყოფილია 3 ეტაპად და მოიცავს

როგორც მენეჯმენტის სხვადასხვა თემების თეორიულ განხილვას, ასევე, პრაქტიკულ აქტივობებსა და ქეისებზე მუშაობას. ტრენინგ-კურსს 6 სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციის, კერძოდ, კომპანიების: „მშენებელი 80“; „ავტობანი“; „Progress Project“; „ფორსი“; „Lion Trans“ და „გრინვეი საქართველო“ წარმომადგენლები ესწრებიან.

კურსი „მენეჯმენტი ინჟინრებისთვის“ ბიზნეს სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარების მიზნით შეიქმნა. ის ფოკუსირებულია იმ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებზე, რომლებიც ახალი პროდუქტის, პროცესის ან სერვისის შექმნაზე ფიქრობენ ან შექმნის პროცესში არიან.

ტრენინგ-კურსი პროექტის სამოქმედო გეგმის ფარგლებშია შექმნილი და ითვალისწინებს სტუ-ს აკადემიური პერსონალის ჩართულობით მოკლე საპილოტე სატრენინგო კურსების ბიზნესისთვის პლატფორმა „Reinnova.gtu.ge“ ეგიდით პერიოდულ შეთავაზებას და ამ მხრივ საუკეთესო ბრიტანული პრაქტიკის დანერგვას.

გარდა ამისა, დაგეგმილია საწარმოო ბიზნესისთვის მომავალში მდგრადი თანამშრომლობის განვითარების მიზნით, სხვადასხვა ინოვაციური საგანმანათლებლო პროდუქტების მომზადება და შეთავაზება, ვინაიდან სამომავლო გრძელვადიანი თანამშრომლობის კონტექსტში შესაძლებელი გახდეს ბიზნესსა და საგანმანათლებლო დაწესებულებას (სტუ) შორის ორმხრივი ინტერესების გათვალისწინება.

"Reinnova", არის საგრანტო განაცხადის საფუძველზე დაფინანსებული პროექტი,

რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველო კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF) დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.



პროექტის პარტნიორია კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი). პროექტს კოორდინაციას უწევს საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი, ხოლო პროექტი უშუალოდ სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის და სამშენებლო ფაკულტეტებზე ხორციელდება.

**პროექტი „Reinnova“-ს ფარგლებში ბიზნეს ორგანიზაციებისთვის შეთავაზებული ტრენინგ-კურსი „მენეჯმენტი ინჟინრებისთვის“ დასრულდა**

29-11-09

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის „ფიქრის

ლაბორატორია“ მასპინძლობდა ტრენინგ-კურსის საპილოტე სერიას „მენეჯმენტი ინჟინრებისთვის“, რომელშიც პარტნიორი ბიზნეს-ორგანიზაციების საშუალო და ქვედა რგოლის მენეჯერები მონაწილეობდნენ. ტრენინგ-კურსი 29 ნოემბერს დასრულდა და ის სტუ-ს პროექტის „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში -"Reinnova"-ს ფარგლებში, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და კილის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით განხორციელდა.

ტრენინგ-კურსი დაყოფილი იყო 3 ეტაპად და მოიცავდა როგორც მენეჯმენტის სხვადასხვა თემების თეორიულ განხილვას, ასევე პრაქტიკულ აქტივობებსა და ქეისებზე მუშაობას. ტრენინგ-კურსს 6 სხვადასხვა ბიზნეს ორგანიზაციის, კერძოდ, კომპანიების: „მშენებელი 80“, „ავტობანი“, „Progress Project“, „ფორსი“, „Lion Trans“ და „გრინვეი საქართველო“ წარმომადგენლები დაესწრნენ, რომლებსაც შესაბამისი სერთიფიკატები გადაეცათ.

მოკლევადიანი ტრენინგ-კურსი „მენეჯმენტი ინჟინრებისთვის“ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში პროექტის „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში -"Reinnova"-ს ფარგლებში ბიზნეს სექტორთან მჭიდრო თანამშრომლობის განვითარების მიზნით შეიქმნა. კურსი ფოკუსირებულია იმ ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებზე, რომლებიც ახალი პროდუქტის, პროცესის ან სერვისის

შექმნაზე ფიქრობენ ან შექმნის პროცესში ითვალისწინებდა რომ სტუ-ს აკადემიური



პერსონალის ჩართულობით მომზადებულ იყო მოკლე საპილოტე სატრენინგო კურსი. შესაბამისად ჩვენ გადაწყვეტით რომ პირველ ეტაპზე მოგვემზადებინა კურსი სახელწოდებით „მენეჯმენტი ინჟინრებისთვის“, რომელიც პლატფორმა „ReInnova.gtu.ge“ ეგიდით შევთავაზეთ პარტნიორ ბიზნეს ორგანიზაციებს და მოხარულები ვართ რომ მათი მხრიდან მივიღეთ პოზიტიური უკუკავშირი. მსგავსი პრაქტიკა დანერგილია ბევრ წამყვან დასავლურ უნივერსიტეტში და ჩვენც გვაქვს სურვილი რომ ასეთი ინიციატივები პერიოდულად შევთავაზოთ ქართულ ბიზნეს ორგანიზაციებსა თუ სხვა დაინტერესებულ პირებს. ჩვენი შეთავაზება ეფუძნება საუკეთესო ბრიტანულ პრაქტიკას და აღსანიშნავია რომ მისი რეალურად განხორციელების შესაძლებლობა პირველად პროექტი „Reinnova“-ს ფარგლებში სტუ-ში შექმნილი პლატფორმის -"ReInnova.gtu.ge"-ს გამოყენებით გახდა შესაძლებელი. ასევე მომავალში დაგეგმილია საწარმოო ბიზნესისთვის მდგრადი თანამშრომლობის განვითარების მიზნით, სხვადასხვა ინოვაციური საგანმანათლებლო პროდუქტების მომზადება და შეთავაზება რათა სამომავლო გრძელვა-

დიანი თანამშრომლობის კონტექსტში შესაძლებელი გახდეს ბიზნესსა და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის ორმხრივი ინტერესების გათვალისწინება“.

„კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში - "Reinnova", არის საგრანტო განაცხადის საფუძველზე დაფინანსებული პროექტი, რომელიც ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდი (CIF)-ს დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით. პროექტის პარტნიორია კილის უნივერსიტეტი (დიდი ბრიტანეთი). პროექტი უშუალოდ სტუ-ს რექტორის აკადემიკოს დავით გურგენიძის ხელმძღვანელობითაა შექმნილი და მას კოორდინაციას უწევს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი, ხოლო პროექტის საპილოტე აქტივობები უშუალოდ სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის და სამშენებლო ფაკულტეტებზე ხორციელდება.

## სტუ-ში CIF საგრანტო პროექტი ReInnova-ს შედეგების ინსტიტუციური მდგრადი განვითარება ხორციელდება

16-12-2024

მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში - ReINNOVA” - ჯგუფის წევრები სამუშაო ვიზიტით კილის უნივერსიტეტში (დიდი ბრიტანეთი) იმყოფებოდნენ.



ვიზიტის მიზანი საუკეთესო ბრიტანულ პრაქტიკაზე დაყრდნობით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინოვაციებისა და კვლევების პროგრამა ReINNOVA-ს მეორე ფაზის პროექტის შემდგომი დამოუკიდებელი იმპლემენტაციის მდგრადი განვითარების გეგმის მომზადება იყო. სტუ-ს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის ფაკულტეტის დეკანის, პროფესორ ბორის გითოლენდიას თქმით, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დელეგაციამ კილის უნივერსიტეტის ცენტრალური და საფაკულტეტო ადმინისტრაციების წარმომადგენლებთან საქმიანი შეხვედრა გამართა, რომელსაც მოდერაციას კილის უნივერსიტეტის საერთაშორისო თანამშრომლობის მიმართულებით ვიცე-



კანცლერი, პროფესორი ანტონიუს რაგუზანისე უწევდა.

როგორც დეკანი აცხადებს, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების მიზნით, შეხვედრები შედგა ადგილობრივი მცირე და საშუალო ბიზნესორგანიზაციების წარმომადგენლებსა და სტენფორდშეარის მხარის სავაჭრო სამრეწველო პალატის წევრებთან.



„კილის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მეწარმეობის ცენტრის დირექტორის, დოქტორ კოლინ რიგბის მოდერატივითა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროექტის გუნდის წევრთა ჯგუფური მუშაობით, მომზადდა ინოვაციებისა და კვლევების პროგრამის მეორე ფაზის დამოუკიდებელი, პროექტის შემდგომი მდგრადი განვითარების გეგმა. მის შესრულებაზე, პროექტის სტრატეგიის მიხედვით, საფაკულტეტო შესაბამის სამსახურებთან კოორდინაციით, იზრუნებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი. შეხვედრების ერთ-ერთი მიზანი იყო საუკეთესო ბრიტანული პრაქტიკის გაზიარება და იმ ახალი ინიციატივებისა და უკვე განხორციელებული პროექტების გაცნობა, რომლებიც კილის უნივერსიტეტშია დანერგილი. იდეების გენერირების, ახალი ინიციატივების, ერთობლივი სამომავლო

პროექტების და თანამშრომლობის წახალისების მიზნით, კილის უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან საინტერესო შეხვედრები შედგა. უნივერსიტეტში წლის ბოლოსთვის დაგეგმილია პროექტის დასკვნითი კონფერენციის ჩატარება, რომელზეც, ბრიტანულ სტუმრებთან ერთად, წარმოდგენილი იქნება საბოლოო ანგარიში და მისი შედეგების მდგრადი განვითარების გეგმა, - განაცხადა ბორის გითოლენდიამ.

ცნობისთვის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის ავტორობითა და უშუალო ხელმძღვანელობით წარდგენილმა პროექტმა - „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში - ReINNOVA“ - 2023 წელს მსოფლიო ბანკის, საქართველოს I2Q ინოვაციის, ინკლუზიისა და ხარისხის პროექტის (CIF) მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა. ReINNOVA-ს მიზანი სტუ-ს და სამეწარმეო ბიზნესინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება, განათლების პროცესში დამსაქმებელთა ჩართულობის უზრუნველყოფა და სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის შედეგების გაუმჯობესების გზით, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობაა. პროექტი სტუ-ს სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის და სამშენებლო ფაკულტეტების 6 საგანმანათლებლო პროგრამაში ReINNOVA-ს პილოტირებას და საწარმოო პრაქტიკის სასწავლო მოდულის გაძლიერებას ითვალისწინებს.

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, პროექტის ინსტიტუციურ კოორდინაციას, კილის უნივერსიტეტთან პარტნიორობით, სტუ-ს ტექნოლოგიებისა და საგრანტო პროექტების ოფისი ახორციელებს.

**სტუ-ში ReINNOVA-ს შემაჯამებელი კონფერენციის ფარგლებში, „ვიცის ლაბორატორია“ დაფუძნდა**

**18-12-2024**

საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, პროექტის - „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში - ReINNOVA“ - ფარგლებში, კილის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი) თანამშრომლობით, შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა.



კონფერენცია გახსნა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვიცე-რექტორმა. როგორც პროფესორმა თამარ წერეთელმა აღნიშნა, ReINNOVA საგრანტო განაცხადის საფუძველზე დაფინანსებული პროექტია, რომელიც საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს, საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF)

და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით ხორციელდება, ხოლო პროექტის პარტნიორია კილის უნივერსიტეტი.

ვიცე-რექტორის თქმით, პროექტის მიზანია, ერთი მხრივ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტსა და სამეწარმეო ბიზნესინდუსტრიებს შორის კავშირების გაძლიერება და განათლებაში დამსაქმებლების მონაწილეობის უზრუნველყოფა, მეორე მხრივ კი, სტუდენტთა სასწავლო პრაქტიკის შედეგების გაუმჯობესებით, შრომის ბაზარზე კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრების მომზადების ხელშეწყობა. „ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია, რომელიც საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორის, აკადემიკოს დავით გურგენიძის ავტორობით და უშუალო ხელმძღვანელობით იქნა წარდგენილი და რომელმაც 2023 წელს მსოფლიო ბანკის, საქართველოს I2Q ინოვაციის, ინკლუზიისა და ხარისხის პროექტის (CIF) მიერ გამოცხადებული საგრანტო კონკურსში გაიმარჯვა. პროექტი სატრანსპორტო სისტემებისა და მექანიკის ინჟინერიის და სამშენებლო ფაკულტეტების 6 საგანმანათლებლო პროგრამაში ReINNOVA-ს პილოტირებას და საწარმოო პრაქტიკის სასწავლო მოდულის გაძლიერებას ითვალისწინებს.

პროექტში ჩართულ ახალგაზრდებს ვულოცავ მორიგ გამარჯვებას და კონფერენციის მონაწილეებს წარმატებებს ვუსურვებ“, - აღნიშნა თავის გამოსვლაში ვიცე-რექტორმა.

კონფერენციის მონაწილეებს მიესალმა პროექტის პარტნიორი ორგანიზაციის - კილის უნივერსიტეტის ბიზნეს სკოლის მეწარმეობის დირექტორი. პროფესორმა კოლინ რიგბიმ კონფერენციის

მონაწილეებს პროექტის ეგიდით მომზადებული სამომავლო მდგრადი განვითარების გეგმა გააცნო და ისაუბრა პროექტის მნიშვნელობასა და მსგავსი პროექტების მართვაში კილის უნივერსიტეტის გამოცდილებაზე.



პროფესორ რიგბის განცხადებით, პროექტის ძირითადი არსი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ბრიტანული პრაქტიკის აპრობირებაა, რაც ინოვაციური პლატფორმის გამოყენებით, ბიზნესთან თანამშრომლობის პრაქტიკის სტიმულირებას, ასევე, მდგრადი მიზნების მისაღწევად აღნიშნული მეთოდის ინსტიტუციონალიზაციას შეუწყობს ხელს. მისი თქმით, სამომავლოდ, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან პარტნიორობით, დაგეგმილია აქტიური თანამშრომლობა სასწავლო და კვლევითი მიმართულებით.

კონფერენციის გახსნის ღონისძიებაზე პროექტის გუნდის წევრებმა საანგარიშო პრეზენტაცია წარმოადგინეს, ასევე, საზოგადოებას პროექტის შედეგები და პროექტის ეგიდით შექმნილი ვებ-პლატფორმა გააცნეს.

პროექტ ReINNOVA-ს შემაჯამებელი კონფერენციის ფარგლებში, „ფიქრის ლაბორატორია“ დაფუძნდა. კონფერენციის გახსნის ღონისძიებას ესწრებოდნენ კილის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლის მეწარმეობის დირექტორი, პროფესორი

კოლინ რიგბი და კილის უნივერსიტეტის ციფრულ და კრეატიულ ინდუსტრიებთან პარტნიორობის განვითარების სპეციალისტი ემმა ბონფილიო.

### **ფაკულტეტზე თანამედროვე კონცეფციის „ფიქრის ლაბორატორია“ გაიხსნა**

სტუ-ს პირველ სასწავლო კორპუსში, პროექტის „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში - Reinnova“-ს, ფარგლებში შექმნილი თანამედროვე კონცეფციის „ფიქრის ლაბორატორია“ გაიხსნა.



ლაბორატორია აღჭურვილია თანამედროვე ტექნოლოგიებითა და აპარატურით. ის განკუთვნილია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისა და პარტნიორი ბიზნეს ორგანიზაციების ერთობლივი, კვლევითი და ინოვაციური პროექტების განსახორციელებლად. „ფიქრის ლაბორატორია“ არის საუკეთესო ბრიტანულ გამოცდილებაზე დაყრდნობით შექმნილი თანამედროვე კონცეფციის სამუშაო სივრცე, სადაც სტუდენტებს, აკადემიურ პერსონალს, კურსდამთავრებულებს და ყველა დაინტერესებულ მსურველს შესაძლებლობა ექნება იმუშაოს ინოვაციურ იდეებზე და სტიმულირდეს სასწავლო

კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში - **ReInnova - № MES-CIF-1-26**

პროცესში რეალურ ბიზნეს პროექტებზე მათ შორის მცირე და საშუალო ბიზნეს ორგანიზაციების ჩართულობით. ამასთან ის არის პროექტის ეგიდით შექმნილი „კვლევისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა - ReInnova“-ს განსახორციელებელი ძირითადი ინფრასტრუქტურული ბაზაც.



საკონტაქტო ინფორმაცია:

ელ. ფოსტა: [reinnova@gtu.ge](mailto:reinnova@gtu.ge)

ვებ გვერდი:

<https://innovations.gtu.ge/reinnova/>

მისამართი:

მ. კოსტავას 68; სტუ-ს I კორპუსი; თბილისი, 0171; ოთახი 575 - სტუ-ს ფიქრის ლაბორატორია;

„ფიქრის ლაბორატორიამ“ ფუნქციონირება უკვე დაიწყო და ის ხელმისაწვდომია საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართული და დაინტერესებული ნებისმიერი პირის თუ ორგანიზაციებისთვის.

აღსანიშნავია რომ ლაბორატორია შექმნილია, „კვლევებისა და ინოვაციების მხარდაჭერის პროგრამა საწარმოო ბიზნესებთან თანამშრომლობის სტიმულირებისა და გაუმჯობესებისთვის საინჟინრო განათლებაში - "ReInnova", საგრანტო განაცხადის საფუძველზე დაფინანსებული პროექტის ფარგლებში, რომელიც საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხორციელდებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს კონკურენტული ინოვაციის ფონდის (CIF) დაფინანსებით და მსოფლიო ბანკის ფინანსური მხარდაჭერით.